


მათრასი

№ 2

იუმორისტ. ჟურნალი

უ. ყიფიანის 45 წლის
მოღვაწეობის გამო

1914 წ.



3.10-07

თბილისი ლიტოგრაფია

არ ხარ მწერალი დიდებული, არც მეოსანი,
არც მეომარი, არც შეფე გვირგვინოსანი;
შენ—მუშაკი ხარ ხელოვნების, პატიოსანი
და ამიტომაც გიძღვნის კონას

ქაგურის და აჭაბ

მათრასოსანი.

ეფიანის იუბილეს გამა.

ჩვენ არა გვსურს კ. ეფიანის ბიოგრაფია ჩილებით გავაცნოთ მკითხველებს და არც საჭირო, ხოლო ვიტყვი იმას, რომ კონსტან-ციფიანი არის სახელოვან დიმიტრი ეფიანის ი და ამ შვილმა კი იძითი ისახელა თავი, რომ ნ წელი ერთგულათ ემსახურა ქართულ სცენას ით მოიპოვა საზოგადოებაში თანაგრძნობ-პაჰი-ემა. მისი უნაკლულო თამაში ატკბობს მაყურე-ა და ბევრჯერ ჟრუანტელსა გვრის ტანში. ამელ რო ზშიაც უნდა გამოვიდეს, ყოველთვის ევადება სხვა მოთამაშეებისაგან და თავისი ჰოვო მიმიკით ყურადღებას იპყრობს.

ჩვენ ხშირად გვიყურებია კ. ეფიანის თამაშზე რასოდეს ვვახსოვს, მას როლი არ სცოდნოდეს (სავით) და ცუდათ ჩაეტარებოდა თავისი გამო-

45 წლის მისმა ასეთმა თამაშმა შეაყვარა ხალხს ული სცენა და სამართლიანადაც აფანებს სს აღმზრდელს

ჩვენი რედაქციაც უერთდება ამ დღესასწაულს აუქლენის იუბილას აღრესად თავისი ჟურნა-პირველ ფურცელს მცირე ლექსით:

- ხან „ოტია“ ხარ — ქაბუკი,
- ამაყი, დაუნდობელი;
- ხან „ლევანი“ ხარ — მოხუცი,
- ხალხისთვის თავის მდობელი.
- ხან კი — უბრალო „ბიკი“ ხარ,
- ხან „გმირი“, ქვეყნის მპყრობელი..
- იცოცხლე მრავალ-ჟამიერ,
- იკურთხოს შენი მშობელი.

მალაროს მუშა.

ლუკმის გულისთვის,
რომ შიმშილით არ მომკვდარიყო,
საწყალმა მუშამ
თავი სტუცა ბნელ მალაროში;
დღიურს იღებდა...
და რომ იგი არ გამკდარიყო
გაფაციცებით
შავ ქვას ყრიდა რაღაც ხაროში!..

ბელშავს ეგონა
ამით გროშებს შეაგროვებდა
და თავის ცოლ-შვილს
უპატრონოთ არ დატოვებდა...
მაგრამ დახე მარცხს!!
მალაროს ცა ჩამოიფუშა
და უღმობელად
„კაჩიანად“ გასრისა მუშა.

მოკვდა საწყალი...
არ შესრულდა მისი მიზანი,
სულ უპატრონოთ
დასტოვა მან თავის ხიზანი.

მწარე სიცოცხლე
ლარიბ ხალხსა რად ემტერები!
ცხოვრებისათვის
რად გარეკე როგორც მწერები?!
ლუკმის გულისთვის
მიწას ჩუგნის ვითა ლორები
და მათის შრომით
სუქდებიან მუქთახორები!..

იონა თლუღელი.

სიზმარ-ცხადი

გათავდა წამი უკანასკნელი,
ძველი წელისა გამოსალმების,
მოკვდა ბოროტი პროხი ბებერი,
იგი მოწამე ჩვენი წამების.

გულსა ეოხა, ის აღარ არის
ვის კალთას მთელ წელს თავი ვაფარე,
ვინც წელში მოხრილს მეტად მტანჯავდა
ასჯერ მანატრა ცივი სამარე!

აღმოსავლეთით ვარსკვლავი გაჩნდა,
ფირუზ გუმბათზე ცელქათ კრთებოდა
და ახალი წლის სამშობიაროთ
ბუნება დინჯათ ემზადებოდა.

დაოხებული გადაშხლართული
მე ქვეშაგებში თვალებს ვნაბავდი
და მომავლის ათასგვარ იმედს
გულში ოცნებით გამოვსახავდი.

ახალ სტუმრისთინ მეც მზათა გახლდი,
სტოლზედ მელაგა ღვინო, პურები,
კბილებ დაკრეჭილ მაშკა ღორის თავს
ჩამოფლართული ქონდა ყურები.

აიბნა აზრი, ჩაფერფლდა გრძნობა,
თვალებს ქუთუთო გადმოეფარა;
გულზედ დამეწყო ჯვარდინ ხელი
და ასე ძილი წამომეპარა.

ჰა უთვალავი ფერად-ფერადი
სიზმრები გარსა შემომეხვია,
ავიღე ხელში წლისა დავთარი
ერთ აჩრდილს წინდამ გაუძეხვია.

მიველ ოზურგეთს სარევიზიოთ,
დაუკაუნე ზაკუსოვს კარზე:
„გოსპოდ ბუმბერაზ ატვორი დვერი,
რევიზორი ვარ, ვერა მცნობ ხმაზე?“.

რის რევიზორი, რის ზაკუსოვი,
ვიღაცა მკითხავს შიგნიდან წყევნით;
ბიჭოს რა მესმის, ლამის გავგიჟდე,
პასუხს ვღებულობ გურული ენით!

ვიფიქრე მცდიან: „დაიხ რევიზორ,
ხაჩუ ზნატ თქვენი ნამოქმედარი,

სკოლკო ქანქარი, შტრაფი, ქრთამები
კუშით ქენი, ვნახოთ დავთარი.

კოპერატივის საკითხველ-შკოლებს
რეთს მიაყენეთ წრეულს ზიანი,
რა უყავთ თქვენი გურულ არმია,
გზებში რომ გყავდათ ჯოხებიანი?

ზღაროვ ლი თქვენი სლუგ-ლაქიები,
გურიის ბაცაც-ნაძირალეები,
ტელ-ხრანიტლები სერგო ნესტორი
ეს კაცუნები და მათი ძმები?

როდის აპირობთ, გურიის ხალხი
ერთად ჩაყაროთ, მოხარშოთ ქვაბში,
როგორ ჟივიოტ ვაში ნინუცი,
კაკ დელა ვაში პარამხანაში?*

—ჩვენ ზაკუსოვი? არა გეთაყვა,
(იქ ვინღაც ტკბილთ გაღიხარხარა)
ის არა ჩვენ აწ გვიღდა ვაკეთოთ
იმ მხეცისაგან რაცა წამხდარა*.

აქ რალაცაა, ვიფიქრე გულში,
კარებს მოეშორდი გაკვირვებული,
გზაში სოლომონ შემხვთა მენაბდე,
გულ მკვდარი, თვალმ დასივებული!

მარა მაგისტვის ვინღას ეცალა
კალანდიასკენ მოგკურცხლე ჩქარა,
დიღხანს ვეძებე ჩოხატაური
მარა ვერ ვნახე, არა და არა.

უცებ ფერღოზე მოვკარი თვალი,
ვიღაცა თხებსა ერეკებოდა!
დედავ შევხედე, ეს ბოქაული
მეთხე, კვლავ თხებსა ასდევნებოდა!

„რორ ცვი-ცვი, ღმერთიქ დარწყველოს
რაზხედ მიწღდა მე პრისთაობა,
ეს ჩქიმი ოჩი, ჩქიმი ქაცარი,
მაგასუ რათ ჯობს სხვაი ხელობა*.

აქაც გავვოცდი, უკან დავბრუნდი,
რაყდენ მენახა კუხალაშვილი,
მარა სად არის ცვი ნაცარი
ის და ან მისი ქართველიშვილი.

ესთქვი ვესტუმრები ერთს მეღქისედეკს
მიველ, დამიხთა წარბ ჩამოყრილი,
ათასი თხოვნა, კაპიო, მარკა
კისრამდინა აქვს გარს შემოყრილი.

გაოცებული ვკითხე: #გეთაყვა
გამაგებინე ერთი მართალი,
დიღხანს რომ ძებნე ნახე, თუ არა
იგი ზაკონი და სამართალი*?

ამოიხვნეშა: #რალა ვნახე ძმავ!
დაგვლუპეს კაცი, არ მოველოდი,
სულ აღმატებით აღღმატებდენ
ჩინოვნიკებსა რომ უჩივლებდი.

ეხლაც მეგონა, გურიის გმირებს
ჯილდოს მისცემდენ, აღუმატებდენ,
ვინ იფიქრებდა, თუ დაცოცხადენ
პანჩურ-პანჩურით გადაქარგავდენ!

გლახ ჩამოგვშორდა მგლები და ტურა

ვახ თუ გაკეთდეს გზა, ხიდები,
თუ მოლოდინი დაგვედასტურა?*

მეც ამიჩუყდა ამ ამბით გული,
გავფხიზლდი სიზმრით გარემოცული,
ცხადშიც ვიხილე გაცოცხვილები,
მათი სიცოცხით მიკვდება გული.

შხანკოლა.

საღღისო საშუაარი ოჯურგმარში.

— შენ თუ ატყობ როგორ ნაღვლიანად
მოიყურებიან ერთი ჯურის ბარიშნები ზაკუსოვ
აბარგვის გამო?

— საქმე იმაშია რომ ყველა ქალაქებში ასე
ცულდ ყოფა-ქცევის ქალებს მაგათთან აქვთ კაენ
რი და ოჯურგეთიც ხომ ღოდორია?

— ამბობენ ზაკუსოვის მოვალეობას მისი და
ტოვებული ფინია ასრულებსო. თურმე ის ყველგ
დაძვრება, ყველას ელაქუცება, უზომოთ განვით
რებული ჰქონებია ყნოსვა საქმლისადმი. ასე წა
მოიდგინე ცნობებსაც კი აწვედის ზაკუსოვსო.

— ეს ასეც უნდა იყვეს. განა ცოტა ამა
აქვს ზაკუსოვს მაზე? ფეხის ტკენის დროს ხომ ი
რა მზრუნველობა გაუწია?

— ვიცი როგორ არ ვიცი. ამ უზნეო ქალბ
ტონებსაც მის მაგივრობას გაუწევს ალბათ.

— კაცო, ამ ქალებზედ გამახსენდა. ერთ
„ნააკალოდოჩნიკარი“ მღვდელი ჩასულა მის ნან
სახურ ქ. ბათუმში და გაუვლია თუ არა მის საყვ
რელ უბანში—დახვევია ძველი ნაცნობნი ცულ
ყოფაქცევის ქალები და მამაო მამაოს ძახილით ან
ფორა კინელამ შემოუფხრეწიათ ტანზე.

— კაცო მაგას თავი დავანებოთ. შენ ერთ
ის მითხარი, როდის მოვლება ბოლო კორესპონ
დენტების დევნას და მუქარას? ხუმრობაა ზაკუსო
ვისტების მხილება? ეს უბრალო საქმე არ არის.

— მაგას ძმავ მეტი არაფელი ეშველება, სა
ნამ კორესპონდენტი წერილოს გაგზავნიდეს ვაზეთში,
საჭიროა შეუტანოს გადასახედავთ ჩვენი ქალაქის
ბოქაულს და თუ მას მოსწონდა, კორესპონდენტი
ყოველგვარ მარცხისაგან დაზღვეული იქნება. ოლონდ
უნდა გახსოვდეთ ზაკუსოვისტებზე ცული არაფერი
იყოს, თორემ სულ ერთია, ბოქაული არ გაუშვებს.

— კი მაგრამ ჩვენ გამოვიაერთ რეეიმი კრი
ლოვისა, აღიხანოვ-ავარსკისა და ტოლმაჩოვ-ერმო
ლოვისა, ხოლო ამისთანა დევნა პრესის წირბომად
გენელთა ჩვენს ყურს არ სმენია!

— დამშვიდდი მეგობარო, დამშვიდდი. ყველა
ფერს ბოლო აქვს. ამათ ცელქობასაც ბოლო მოე
ლება. ყველას ნამოღვაწარი სინათლეზე იქნება გა
მოტანილი. მშვიდობით!

ყაჩაღებზე თავდასხმა თფილისში

13 იანვარს, ნაშუადღევს 2 საათზე ქალაქში უცებ ხმები გავრცელდა ნაძალადევი დიდი შეტაკება მოუხდათ პოლიციელებსა და ყაჩაღებსა და სიმართლე კი არავინ იცოდა. მართლაც ამ დროს ნაძალადევი დიდს ხანს სროლა იყო და ნამდვილი ამბის გაგება მხოლოდ ნაშუადღევს 4 საათზე გახდა შესაძლებელი: საქმის ვითარება როგორც გამოიჩინა აგრე ყოფილა: ტფილისის პოლიციის მეთაური ფარული ცნობები მიიღო რომ აქ ჩამოვიდნენ ცნობილი ყაჩაღები იმერლიშვილი და ფარესიშვილი და ნაძალადევი ბინდრობენ, სახელდობრ ბასეინის ქუჩაზე, სახლი № 15. პოლიციის განკარგულებით ნაშუადღევს პირველ საათზე ხენებულს ადგილას 100-მდე პოლიციელი გაემგზავრა ყაჩაღთა შესაპრობლათ. პოლიციელებმა მეცხრე საპოლიციო უბნის ბოქაულის გამბერგის მეთაურობით სახლს, სადაც ყაჩაღები იყვნენ, გარს შემოაღეს და შემდეგ სახლის ეზოშიაც შევიდნენ. მათ ნამდვილად არ იცოდნენ ყაჩაღები ამ დროს მართლა სახლში იყვნენ თუ არა. უცებ სახლიდან ყაჩაღებმა საშინელი სროლა ასტეხეს და სასიკვდილოდ დასჭრეს ბოქაული გამბერგი და მისი თანაშემწე ზუბრიცი (ესენი ორთავენი გარდაიცვალა შემდეგ), დასჭრეს აგრეთვე საპოლიციო უბნის ზედამხედველი ალანია, საპოლიციო უბნის სხვა სამი ზედამხედველი და 10-მდე დაბალი პოლიციელი. ამ მოულოდნელმა სროლამ პოლიციელნი დააბნია, რითაც ყაჩაღებმა ისარგებლეს, გამოვარდნენ სახლიდან და გაიქცნენ. აქ პოლიციელებმა ერთი ყაჩაღთაგანი (იმერლიშვილი) რამდენიმე ტყვიით მოჰკლეს, ხოლო ნათესავებმა ვერ იცნეს იმერლიშვილათ. ფარესიშვილმა კი დამალვა მოასწრო.



ფარესიშვილი.

იმერლიშვილი.

დეჰეშები

(იპ—მის სააგენტოდან).

ფოთი. ცნობილმა კანტრალიორ ცხადამემ „სბროიაკოვის“ მუშებისაგან მიიღო საჩუქრათ „დამპალი კატის თავი“ (ასეთი ზედ წარწერით):

დაგვერწმუნე ათასჯერ სჯობს
თქვენსა თავსა მაგი თავი!
თუმც მყარლია, საძაგელი,
მაგრამ ესმის თეთრი-შავი.

ძველი ააფა მოიშორე,
ეს ნაძღვევი გალიკერე,
კაციც მაშინ შეიქნები,
„მეგობრულგებრ“ დაგვიჯერე.

აბაშა. ცნობილი ი. მასხულია წაიკითხავს ლექციას თუ რა ზიანი მოაქვს ღვინის სიმთვრალეს, მაგალითებრ კ. ხნიკილიზაცია და აზ. ფშუკიზაცია, რომელიც პრაქტიკულათ აქვს შეძენილი. ბილეთე-

რედაქცია სთხოვს ვისაც მოუბოვება გურიაში ახლად მოყოლო სადრო ბარამიძის და მის ამხანაგ

გურია-სამეგრელო. ვასო მას., ვასო სარ.,
 ვასო ქან., ვასო ქებ., ვასო ტულ., ვასო ურშ.,
 ვასო ქუ., ვასო თედ.—ადგილობრივ გუბერნატორს
 თხოვნას აძლევენ. რომ კანტალიორ ვასო ცხადა-
 დაძეს სახელი ვასო შეუცვალოს პეტრეთ, ვინაიდან
 ის ერთი ვასო, ჩირქს სცხებს ყველა ვასოს თავისი
 ზნე-ქცევით. იმედიც აქვენ მათი თხოვნა უკუურად-
 ლებოთ არ დარჩება.

ღანჩხუთი. ამ დღეებში სამკითხველოს გამ-
 გეებმა მიიღეს ასეთი ბარათი:

სამკითხველო დაგვიცევით,
 ნუ აგვირევს ლუბა, მარო;
 თორემ ერთ დღეს მოთმინება
 მგონი განზედ გადავყარო.
 ორნიც ერთად მოვიტაცო
 სამეგრელოს გავაპარო.

სამბრედია. აქაური კლუბის საქმე
 არ გეგონოთ სასურველოდ,
 არეული დარეული,
 სამარცხვინო საძულველოდ.

წარმოდგენებს ხშირად მართვენ,
 რეჟისორად ჯაყელია,
 მაყურებელნი დაგვიფრთხო
 ერთობ გამოგვჭრა ყელია.

აბა იმას ნუ იკითხავ,
 თუ წეს-რიგი როგორ არის!
 მყუდროებას ვინ დაიცავს
 „თაფხედები“ საცა არის!

სად ვინ სხდება, ვინ რას შვრება,
 ღმერთმა იცის, სხვამ კი არა;
 ბილეთს კაცი არ უყურებს—
 ფას-დიდია თუ პატარა!

დანარჩენი შემდეგისთვის,
 დღეს-დღეობით ესეც კმარა.

ცრემლსა ვაფრქვევ!!!..

სული კვნესის... სული გმინავს...
 ფიქრებს ვებრძვი... ფიქრებს მწარეს;
 ტურფა მამულს მოწყვეტილი —
 ნაღვლით შევსტყერ უცხო მხარეს!

მოვსწყდი მშობელს... მოვსწყდი სატრფოს,
 ეშხით მთვრალს და პირ-მკინარეს, —
 და აქ... უცხო ხეივანში...
 ცრემლსა ვაფრქვევ... ცრემლს მდულარეს...

მ. ჭ — ლი.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(კიათურისათვის)

გავბრიყვდი, მითხრეს: „ქალები
 კაცთათვის დანასახია,
 უცოლო კაცი ამ ქვეყნათ
 ცოცხლათვე დასამარხია“;

და გადავსწყვიტე მეთხოვა,
 (რაც მომივიდა ახია),
 მან მილაღატა სხვას გაპყვა
 საქმე ქნა დასაძრახია:..

პირველათ გაპყვ ალექსის
 მე ყვავდი როგორც ლაქია,
 მაგრამ ქესატი აღმოჩნდა
 ეგ სპარსელების შახია.

ვიფიქრე: ქალი გაუშვა?
 არა ვარ მაგის ღირსია,
 არა და—ცოლათ ჩემია,
 გასართობათ კი სხვისია!

შემოსავალი რომ ჰქონდეს
 რა უყოთ, ნება მისია,
 მე პირუტყვეული „რქოსნობა“
 შემზრდია, შემითვისია.

მოვნახე ისევ ვაჭარი,
 მდიდარი მეტის მეტია
 და შეუჩინე მაცთურათ
 ჩემი ოლინკა ცეტია.

ხუთსა წელიწადს ამ ვაჭრის
 გახდა ის ჩასაკნენტია,
 თითქმის ავხსენი სირცხვილი
 და ვსთქვი ეს მეტის-მეტია.

ამბობენ: ანდერძის ძალით
 ბლომათა ელის ქანქარი,
 თუ გაბრიელის ჩაივლმა
 არ აურიათ დავთარი...

ხან ალექსის ყავს; ხან კოწოს,
 ბედნიერია ოლია,
 ქმარსაც კი ციხე არგუნეს,
 იგიც სხვებს გადაპყოლია!

არ გაგიკვირდეთ მკითხველო—
 რამდენი კურო ჰყოლია,
 ვინც გამოიცნობს, უსურვოთ
 მას ამისთანა ცოლია.

ჭინჭრაქა.



დაბა-სოფლები

ბაქო-ბალახანა. (კამოცანა).

ქართველობამ კარგა უწყის
ვინ იყო და რას შერებოდა;
სასტუმროდან სასტუმროში
დადიოდა დაძვრებოდა.

ათ შაურად ლამაზ გოგოს
მოგიყვანდა „დაგატკობდა“,
„ნახევარი ჩემიაო!“

ქალსაც ქანქრებს დააძრობდა.
რამდენიმე წელიწადი
გაატარა ამ ხელობით;
ფულიც კარგა შეაგროვა
კულის ქნევით და მელობით.

და შემდეგ კი ბალახანას
მიაშურა— თხარა კები,
თუმცა ბევრმა უთხრა: „აქა
რა გინდა, რას იქლაკები“.

შაგრამ გული არ გატეხა,
უკან არ დაუხევია,
სთქვა: „შრომით არ მომიგია,
ოფლი არ დამინთხევია.

თუ წავაგე, ჩემს ხელობას
ძველებურათ მივჰყობ ხელსო
და თუ არა— გავმდიდრდები,
შევიმატებ— ფუფს, სახელსო“.

მგელი არ შეუშინდება
ერთი-ორი ძაღლის ყეფას—
ქებში ნეფი ამოდულდა,
მიჰყო ხელი მიწის ყვლეფას.

მიწას გული გამოუშრო
და მუშებსაც ოფლი ჰპარა,
სად სიცულე გამოაჩნდა,
იქ ფულები წააფარა!

ერთ წლის შემდეგ შეიძინა
ვებერთელა კაპიტალი;
ბედმა ჩინიც მიუმატა
გახდა ჯორის „კაპიტანი“!

მის სოფელში ხმა გავარდა
ისე, როგორც ზარბაზანი
და სთქვენ: „ფული იმდენი აქვს
ვერ დაანძრევს ალაზანი!“

მოისურვა, რომ ენახა
სოფელი და ის მამული;
სადაც ყველა მაქებარი
ლაქიები დარაზმული!

რა ჩავიდა— შეეგებენ

და სთქვის: „არაღი აკიკიაო,

რა პანამა ახურია,

რა კასტუმი აცვიოა!“

ზოგი შვილსა აბარებდა,
ზოგი ძმას და ზოგი დასა,
ყველას ადგილს პირდებოდა—
გამოუღდა ბაქოს გზასა.

და ახლა დღე არ გაივლის
არ მიადგეს ერთი ორი;
მათ სალამსაც არ კადრულობს
წიხლებს იქნევს, როგორც ჯორი.

მოყვანილი ყმაწვილია—
გაგიჟდავს ყურს ტრაბახით
და ძმაო, მათრახოსანო!

თუ დაზილავ მას მათრახით,
ჯერ „იარ“ში“ დაგვატივებ,
მერმე— ლამაზ „კაზინოში“,
შამპანურით გაქეიფებ*)

ყველგან ჩემს საკონსულოში!!

ვაშა-ბაქურა.

ფოთი. (დ-ს სიმღერა).

ცა ქულათ მომცა განგებამ
მიწა ქალამნათ მაცვია,
მუდამ მეჯლისით, განცხრომით
გავსივდი როგორც დათვია...

იკურთხოს ქანქრის მომგონი,
წამომეზარდა ფაშვია,
არ-რა მაწუხებს, ვიცინი
გქურდულლობ, როგორც შაშვია...
სხვის გატყავების შნოი მაქვს
წვენს ვადენ ხარის რქაშია...
ოღონდ მე ვიყო მამლარი
სხვა თუნდ დახბროს წყალშია...

სიმართლე ფეხზე მკილია
ტყავს ვაძრობ ყველა მართალსა,
მუშებისგანაც მოველი
მარცხენა ჯიბის საგზალსა...

ხმელეთის მეფედ თავსა ვგრძნობ
დავიმორჩილე ყოველი,
აღარ მაშინებს სალი კლდე
არც მთაი ცეცხლის მთოველი.

მას ვლოკავ, ველაქუცები
სადაც თბილ ლუქმას მოველი,
აბა მითხარით ვინა ვარ
და ან რომელი ცხოველი.

ხვლიკი.

*) ქეიფობა მე არ მიყვარს,
(კი არ ვგეგარ ზოგ-ზოგ მუშებს!)
გვერდებს ისე დაუხილავ—
ეშმაკიც ვერ მოუშუშებს.

სუფსა. ვთხოვთ დღიდან „მათრახში“ ალაფერი დაბეჭდოთ. მიზეზი ის არის რომ ჩვენი 2-3 მოამბვენი რაინდებმა დააფრთხეს და აწი კრინტა ეკველარ დასძრავენ. დავრჩით 10—15, ჩვენი ხომ ის დღე მოგველის თუ რამე ვსთქვით? რომ დ შინებული არ ვიყოთ გეტყოდით თუ რაფერ მოხდა ა—ს დუქანში ორმოცის წირვა და პანაშვიდი, თუ რა ზიანი მიაყენა აქაურმა ყავახანამ ბ. ნ. გეაქეკორს, თუ რამდენჯერ შეგვიხურეს ვითომ კოცისპონდენტები თანამედროვე ტიპებმა, იმასაც ვიტყვოდი, რომ აქაური ბავშვების დროებითი „რეპეტიტორი“ 24 საათში თურმე 6 „ყანწის“ მეტ დვინოს ვერ ღებულობს. თუმცა დაუჯერებელია მაგრამ თვით მე მოკვარი ყური ერთ კოპწია ბარაშნას რომ ეუბნებოდა: გუშინ ღამით მხოლოდ სამი „ყანწი“ დავლიე, დღით კიდევ 3-ო.

— ადგილობრივ, უკაცრავათ მთელი გურიის მექომავეთა ჯგუფს აზრათ ჰქონიათ გამოაქვეყნოს ახლო მომავალში ახალი კალენდარი. ამ კალენდარში ახალი წელიწადი თურმე დაიწყება მრავალთათვის წამებულ ზაკუსოვის გადაყენების დღიდან. თუ ძმა ხარ ჩემო ნაცნობო ეს ამბავი ჯერ-ჯერობით არავის ჩააწვეთო ყურში.

იორდანე.

ს. აცანა. ჩვენი „სულია“
 კაცად ცუდია,
 სულ მუდამ თრება
 და იგინება...
 გითხრა მართალი:
 მან სამართალი
 სულაც არ იცის;
 მხოლოდ სმა იცის.

მკვახე ენაში,
 კაცის წყენაში
 მას ვერ მოუგებ
 ვერას გოუგებ.
 როცა მთვრალია,
 ჩვენი ვალია,
 რომ მოვერიდოთ
 არ გადვიკიდოთ,
 თორემ თუ გნახა
 თუ დაგინახა
 დაგარტყამს თავში,
 შემოგკრავს ყბაში.

ვეტყვიტ ეწერსა:
 ასეთსა შტერსა,
 რომ ირჩევს „სულათ“
 იქცევა ცუდათ.

ისკანდერ.

იუმორისტული ჟურნალი

„მათრახი“

გამოვა ყოველ კვირა დღეს, თუ რაიმე გარემოება არ შეგვიშლის ხელს.

ჟურნალზე წლიური ხელის მოწერა არ მიიღება, ხოლო ვინც გამოგზავნის 1 მანათს მას გაეგზავნება 20 ნომერი ჟურნალისა ახალ წლიდან.

საჭიროა ჩვენმა კორესპონდენტებმა მოგვაწოდონ, როგორც სადღეისო მასალები, აგრეთვე — სამართროსო და სასოციალო მოღვაწეთა სურათები, კარიკატურებისთვის.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები და რეკლამები ფერადის კრასკებით. ფასები რედაქციასთან მორიგებით.

წერილები და ფული გამოგზავნება ამ ადრესით: Тифლისь, Типографія „Шрома“ Т. Болквადзе „მათრახისათვის“.

იკემოვნეთ ჰაპიროსები

ა. ინფიანჯიანსისა

„ექსტრა“ 15 ც.—6 კ., 25 ც. 10 კ. „ინტელიგენტნი“ 10 ც. 6 კ. 15 ც. 15 კ. „ლევი“ 20 ცალი 5 კ. „კემკ-უოკ“ 20 ც. 5 კ. და სხვ.

იყიდება გასული წლების იუმორისტული ჟურნალები:

- 1) ეშმაკის მათრახი—1908 წ. 34 ნომ. 2 მ. 50 კ.
 - 2) მათრახ-სალამური 1909 „ „ „ 2—50 „
 - 3) აღმანახები 1909 წ. 10 ნომერი — —50 „
 - 4) მათრახ-სალამური 1910 წ. 33 ნომ. 2—50 „
- ვისაც უდით სურს, თითო წიგნს მიემატება ფასი თითო მანეთი. მსურველებს პროვინციებშიაც გაეგზავნებათ ჩვენის ხარჯით.

მისამართი: Тифლისь, Типографія Шрома Теофилу Болквადзе.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(ოზურგეთისათვის)

გამოცანას მოგახსენებთ—
ყველამ იცით ერთი მღვდელი;
უნამუსო, გაქუცული,
ტრაბახი და ენა გრძელი...
მოკარტ ნარდე, მოქიფე,
მტრობა-შურის დამთესველი,
დავით წმინდას მარჯვენა,
მასთან ერთად ავის მქნელი.

არის მავნე, ინტრიგანა,
უზრო და კკუით ბნელი;
ყურ-წანაკრავ ამბებისა
„დიდ ხოჯასთან“ მიმტანელი...
პატიოსან ქალებისა
უსამართლოთ გამლანძღველი,
მისი მადლი შეგეწიოს,
ვინც ხარ ამის გამოხსნელი.

შემოქმედელი ტურა



„ქართველი მოღვაწეები“ დაბა სამტრედიისში.

ტაში, ტაში, ჩქარი ტაში,
ლადო, გიგო გენაცვალეთ,
ისიდორე და მუმლაძე
რას უყურებთ იკვანტალით!

გავიმარჯვეთ ეს-ეს არის,
წინ ვერავინ დაგვიდგება,
ხომ კი ხედავთ რაჟღენაი
თავის ტანში ვეღარ დგება!